

I საერთაშორისო კონფერენცია რეოლოგიაში
(10–12 ოქტომბერი, 2015, ქუთაისი, საქართველო)
1st International Conference on Rheology, 10–12 October, 2015, Kutaisi,
Georgia

ორგანიზატორი: ასოც. პროფესორი, ბ.მ.დ. მანჭავაძე მკა
სწავლული მდივანი: ბ.მ.დ. მომცილიძე ნანა
მთავარი კოორდინატორი საქართველოში: საკანდელიძე რენიკო

კონფერენციის მიზანი და ამოცანები

ჰემორეოლოგია არ არის სპეციალიზირებული და მონოთემატური მოვლენა. იგი მოიცავს სხვადასხვა მექანიზმებს და უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას. სისხლძარღვოვანი რეაქციები და სისხლის რეოლოგიური თვისებები განსაზღვრავენ კაპილარული სისხლის მიმოქცევის ინტენსივობას, ანუ მიკროცირკულაციას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ქსოვილის საჭირო რაოდენობის სისხლით მომარაგებას. სისხლის რეოლოგიური თვისებების გაუარესება წამყვან როლს თამაშობს მისი ნაკადის შენელებაში, სტაზის ჩამოყალიბებაში და აქედან გამომდინარე, ქსოვილის ჰიპოქსიაში. ამასთან ერთად უზრუნველყოფენ ადეკვატურ სისხლის ნაკადს, სისხლის დინების სიჩქარის ნორმალიზაციას და საჭიროების შემთხვევაში, ჟანგბადის ჭარბ რაოდენობას. ბიოლოგიური სისტემებისათვის სისხლის რეოლოგიური თვისებები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საფუძვლად უდევს ყველა ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური პროცესის ჩამოყალიბებას. ჩვენი საკონფერენციო პროექტის ძირითადი მიზანია: მიკროცირკულაციის და ჰემორეოლოგიის უახლესი ფუნდამენტური და კლინიკური მონაცემების გაანალიზება, მათი მულტიდისციპლინური ხედვა, ბიოსამედიცინო წრეებში რეოლოგიის ცნების პოპულარიზაცია; საქართველოში კლინიკური რეოლოგიის კვლევების დანერგვა და განვითარება. ამისათვის კონფერენციის ჩატარებით ჩვენს მიერ იქნება განხორციელებული შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. კონფერენცია დაიგეგმება ისე, რომ მოხსენებებით წარსდგებიან და საორგანიზაციო კომიტეტს დააკომპლექტებენ მაღალრეიტინგული უცხოელი და საქართველოში მომუშავე სპეციალისტები. წარდგენილი იქნება რეოლოგიის საკითხებზე მომუშავე წამყვანი სპეციალისტების პლენარული მოხსენებები;
2. თემების მიხედვით კონფერენცია სექციებად იქნება დაყოფილი.
3. კონფერენციის მუშაობაში ჩართული იქნება ახალგაზრდა მეცნიერები და ბიომედიცინის დარგის სტუდენტები და დოქტორანტები;
4. ყველა მოხსენება გაივლის წინასწარ ექსპერტიზას და რეცენზირებას და შემდგომ გამოიცემა კრებული სახით;
5. კონფერენციის ბოლოს დაიდება დასკვნები და დისკუსიის შედეგად გამომუშავებული დებულება, რომელიც განსაზღვრავს მომავალში რეოლოგიური

კვლევების

მიმართულებას;

6. დადგინდება ამ მიმართულების შემდგომი საერთაშორისო კონფერენციის ვადები.

მსოფლიოში ბოლო 30 წელია რეოლოგიისთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია. წელს მაისში გაიმართა უკვე რიგით მე-8 კონგრესი ბიორეოლოგიაში და მე-15 კონფერენცია კლინიკურ ჰემორეოლოგიაში (კორეა); სექტემბერში გაიმართება მე-5 საზაფხულო სკოლა ბიორეოლოგიაში (ბულგარეთი). მიუხედავად იმისა, რომ რეოლოგიისადმი მიძღვნილი მაღალრეიტინგული ღონისძიებები ძალზე საინტერესო და სასარგებლოა თანამედროვე მკვლევარებისათვის, მათი არეალი იზღუდება წმინდა ჰემორეოლოგიური და მიკროცირკულაციური კვლევებით. ჩვენს მიერ საქართველოში პირველად ჩატარდება რეოლოგიისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც გააერთიანებს მრავალი დარგის სპეციალისტებს. უჯრედის და მოლეკულური, ბიოქიმიური კვლევების აღმავლობის ხანაში ადრეული მიკროცირკულაციური და ჰემორეოლოგიური მოვლენების აღწერა საჭიროებს ხელახალ ინტერპრეტაციას. ჩვენი ამოცანაა კონფერენციის ფარგლებში განხილული იყოს სწორედ ეს საკითხები. ამისათვის მოვიწვევთ მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებს მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოქიმიის დარგში.

თანამედროვე ბიომედიცინაში მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეცნიერულ მიმართულებით მიმდინარე კვლევების ინტეგრაცია. ვინაიდან მიკროცირკულაცია და ჰემორეოლოგია პირველყოფლისა არის ჰემოდინამიკის საგანი, ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ ექსპერიმენტული რეოლოგიის საკითხები თანამედროვე ჰიდრავლიკის და ჰემოდინამიკის ჭრილში. ამისათვის ჩვენს მიერ იქნება მოწვეული მეცნიერ ფიზიკოსთა ჯგუფი.

ციფრული ტექნოლოგიების და ახალი მიკრო- და ნანო ტექნოლოგიების დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია მედიცინის და ბიოლოგიის ყველა დარგში. ყოველივე ეს უნდა იყოს რეალიზებული მიკროცირკულაციურ და ჰემორეოლოგიურ კვლევებში. ჩვენი ამოცანაა კონფერენციის ფარგლებში გავეცნოთ მიკროცირკულაციის და ჰემორეოლოგიის ახალ მეთოდოლოგიას, შეფასების ახალ კრიტერიუმებს, რომელიც ეფუძნება მტკიცებულების მედიცინის საფუძვლებს.

ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეოლოგია და მისი ცვლილებები სხვადასხვა დაავადებების წარმოქმნაში. კლინიკური რეოლოგიის საკითხებს დაეთმობა რამდენიმე მოხსენება. განხილული იქნება თავის ტვინის პათოლოგიები, შაქრიანი დიაბეტი, გულსისხლძარღვოვანი დაავადებები და ღვიძლის პათოლოგიები და სხვა. ამ მოხსენებებში მითითებული იქნება თუ რა როლს თამაშობს რეოლოგიური თვისებები დაავადების წარმოქმნაში და როგორ შეიძლება რეოლოგიური სისტემის მოწესრიგებით დაავადების განკურნება ან პლატოფაზაში გადაყვანა. ამ საკითხებს განიხილავენ და განავრცობენ ნევროლოგიები, კარდიოლოგიები, ენდოკრინოლოგიები, ჰეპატოლოგიები.

ჩვენ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შორის ჰემორეოლოგიის, როგორც სამედიცინო დარგის პოპულარიზაცია. კონფერენციაზე მოწვეული კლინიკური ჰემორეოლოგიის სპეციალისტები უზრუნველყოფენ საინტერესო ინტერაქტიულ ლექცია-მოხსენებას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევები ორიენტირებული იქნება მოვლენების, ფაქტების, მოდელების და კონცეფციების თეორიულ შესწავლა-ანალიზზე. ყოველივე ეს დაეხმარება ბიომედიცინის სპეციალობების წარმომადგენლებს მრავალი დაავადების და პათოლოგიური პროცესის ჩამოყალიბების მექანიზმების დადგენაში, ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების შემუშავებასა და დანერგვაში, მკურნალობის ტაქტიკის ალგორითმების ჩამოყალიბების, შერჩევის და პროფილაქტიკური ღონისძიებების დიზაინის შემუშავებაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს კონფერენცია საფუძველს დაუდებს რეოლოგიური საკითხების ღრმა შესწავლას, რაც უსათუოდ მნიშვნელოვანია პრაქტიკული ბიომედიცინისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოში ჩატარებული რეოლოგიისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაზრდის ინტერესს პრობლემის ირგვლივ, მკვლევარებს შესძენს თანამედროვე ცოდნას. ქართველ მეცნიერებს მიეცემათ დისკუსიის და ინფორმაციის გაცვლის საშუალება მსოფლიოში ცნობილ რეოლოგებთან და მიკროცირკულაციის სპეციალისტებთან. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგება ასზე მეტი სპეციალისტი, მათგან უცხოეთიდან: ამერიკიდან, ევროპიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან.

კონფერენციის აქტუალობა

კონფერენციის აქტუალობა განისაზღვრება საკითხის ფუნდამენტალობით და მნიშვნელობით. რეოლოგიას და მიკროცირკულაციას წამყვანი როლი აკისრია ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით. რეოლოგიური და მიკროცირკულაციური თვისებები უზრუნველყოფენ ორგანოების და ქსოვილების მომარაგებას საკვები ნივთიერებებით და ჟანგბადით. რეოლოგიური და მიკროცირკულაციური დარღვევები საფუძველად უდევს მრავალ დაავადებას (მიოკარდიუმის და თავის ტვინის ინფარქტები, გულსისხლძარღთა დაავადებები, პირველი და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი, რეინოს სინდრომი და რეინოს ფენომენი, სტრესი და სხვა). რეოლოგიის და მიკროცირკულაციის პათოლოგიური ცვლილებების ნორმალიზაცია ხშირად ხელშემწყობი ფაქტორია ორგანოს ან ქსოვილის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის. ევროპასა და ამერიკაში ფუნდამენტური და კლინიკური რეოლოგიური კვლევები პოპულარულია და ფართოდ გამოიყენება. საერთაშორისო კონფერენციის საქართველოში ჩატარება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხელმისაწვდომი გახდება უცხოელი კოლეგების მონაცემები და მათი ანალიზი, აგრეთვე ჩვენ ქართველ სპეციალისტებს მოგვეცემა საშუალება საჯარო განხილვაზე გავიტანოთ ჩვენი მიღწევები რეოლოგიის დარგში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში რეოლოგიური კვლევების განვითარებისა და დანერგვისათვის. რეოლოგიის მიმართ გაზრდილი ინტერესი განპირობებულია იმითაც, რომ თანამედროვე მოლეკულური ბიოქიმია ნათელს ჰფენს რეოლოგიურ მექანიზმებს. ბიოქიმიური სექციის მომზადება კონფერენციის ფარგლებში ძალზე აქტუალურია და დროული, რადგან რეოლოგიური საკითხები განხილული იქნება მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოქიმიის თვალსაზრისით. მტკიცებულებების მედიცინა ჯერ კიდევ არ არის ღრმად დაკავშირებული რეოლოგიური საკითხების კვლევებთან და პირველად ჩვენს კონფერენციაზე იქნება წარმოდგენილი ასეთი მიდგომა. ეს ძალზე თანამედროვე და

აქტუალური რაკურსია. რეოლოგიის და მიკროცირკულაციის განვითარება საქართველოში აქტუალურია, რადგან ფარმაცევტულ ბაზარზე გაჩნდა პრეპარატები, რომლებიც აწესრიგებს რიგ რეოლოგიურ პარამეტრებს. ამიტომ დოზის შესარჩევად აუცილებელია რეოლოგიური პარამეტრების შეფასება. პრაქტიკოსი ექიმებისათვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. კონფერენციის აქტუალობა ამ თვალსაზრისით უდავოა. კონფერენციის აქტუალობა იზრდება იმითაც, რომ ის ერთნაირად მნიშვნელოვანია ფუნდამენტური სამეცნიერო წრეებისათვის და გამოყენებითი ბიომედიცინის წარმომადგენლებისათვის.

კონფერენციის მოსალოდნელი შედეგები, მათი გამოყენება და შეფასების მექანიზმები

კონფერენციის ჩატარება უზრუნველყოფს ჩვენი საკონფერენციო პროექტის ძირითად მიზანს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მიკროცირკულაციის და ჰემორეოლოგიის ახალი და უახლესი ფუნდამენტური და კლინიკური მონაცემების გაანალიზება; მათი მულტიდისციპლინური ხედვა; ბიოსამედიცინო წრეებში რეოლოგიის ცნების პოპულარიზაცია; კლინიკური რეოლოგიის კვლევების საქართველოში ფართო დანერგვა და განვითარება. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან სისხლის რეოლოგიური თვისებები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ცოცხალი ორგანიზმის ნორმალურ ფინქციონირებაში. კონფერენცია საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ უახლესი ფუნდამენტური და კლინიკური მონაცემები, აქამდე უცნობი რეოლოგიური მექანიზმები და მათი როლი ამა თუ იმ დაავადების წარმოქმნაში. ასეთი დასკვნები უდავოდ მნიშვნელოვანია და თავისი შინაარსით გაამდიდრებს საქართველოში წარმოებულ ფუნდამენტურ კვლევებს. საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტები და საქართველოში მომუშავე მკვლევარები წარმომადგენენ კვლევის მრავალ განსხვავებულ მიმართულებას. ეს შესაბამისად, მოგვცემს საშუალებას მრავალმხრივად განვიხილოთ რეოლოგიის თანამედროვე პრობლემები, რაც უთუოდ დაეხმარება ბიომედიცინის სპეციალობების წარმომადგენლებს ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების შემუშავებასა და დანერგვაში, მკურნალობის ტაქტიკის ალგორითმების ჩამოყალიბებასა და შერჩევითობაში და პროფილაქტიკური ღონისძიებების დიზაინის შემუშავებაში.

კონფერენციის ფარგლებში მოხდება მტკიცებულებების მედიცინის დაკავშირება რეოლოგიურ კვლევებთან, ეს ძალზე მნიშვნელოვანია რისკ-ჯგუფების გამოყოფის მიზნით. კონფერენციის ფარგლებში გათვალისწინებული სპეციალური სექცია ახალგაზრდა მკვლევარებისათვის და ბიომედიცინის პროფილის სტუდენტებისათვის და დოქტორანტებისათვის კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ჰემორეოლოგიური და მიკროცირკულაციური ცნებების ფართო დანერგვას.

გარდა ამისა, კონფერენცია უცხოელი მკვლევარების მონაწილეობით, რომელიც ჩატარდება ქუთაისში, გაზრდის რეოლოგიის მიმართ დაინტერესებულ პირთა რიცხვს დასავლეთ საქართველოს რეგიონის ბიომედიცინის წრეებში. კონფერენციის ჩატარებით, მსოფლიოს სამედიცინო წრეებში ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურებთ საქართველოს სპეციალისტთა ფუნდამენტურ ცოდნას, და პრობლემის თანამედროვე ინოვაციურ გადაჭრის გზების ხედვას.

კონფერენციის აღწერა (ინფორმაცია სექციების, სესიების და ა.შ. შესახებ)

კონფერენცია გაიმართება 2015 წლის 10 - 12 ოქტომბერს ქ.ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მის.: თამარ მეფის ქ.50) "I საერთაშორისო რეოლოგიის კონფერენცია". მონაწილეთა რეგისტრაციის შემდგომ კონფერენციას საზეიმოდ გახსნის და მონაწილეებს მიესალმება კონფერენციის ორგანიზატორი და უცხოელი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. კონფერენცია შედგება პლენარული, სექციური, პოსტერული მოხსენებებისგან. სექციების თავჯდომარეები იქნებიან რეოლოგიის დარგის წამყვანი სპეციალისტები. მოხსენებები მიეძღვნება რეოლოგიის ისტორიას, კლინიკური რეოლოგიის დიაგნოსტიკის საშუალებებს, რეოლოგიური საკითხების მნიშვნელობას გულსისხლძარღვთა, თავის ტვინის, ენდოკრინულ, ჰეპატოლოგიურ დაავადებებში, ჰიდრავლიკის საკითხებს, ბიოქიმიურ ასპექტს რეოლოგიაში, რეოლოგიის გაუმჯობესების ფარმაცევტულ პრეპარატებს და ა.შ. განსაზღვრავენ სექციებს და სესიებს. კონფერენციის თემებია (ტოპიკები):

- *ექსპერიმენტული ჰემორეოლოგია, ჰემოდინამიკა და ჰიდრავლიკა
- *კლინიკური ჰემორეოლოგია (კარდიო და ცერებროვასკულარული დაავადებებში, ენდოკრინოლოგია, ჰეპატოლოგია, ალერგია, გერონტოლოგია, შოკი, სტრესი, რეოლონსტრუქციული ქირურგია, მენანგინეკოლოგია და სხვ).
- *ბიო- და ჰემორეოლოგიური მეთოდები, ტექნოლოგიები და აღჭურვილობა
- *სისხლის და სისხლძარღვოვანი უჯრედების მიკრო- და ნანომექანიკა
- *სისხლის დინება მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოქიმიის თვალთახედვით
- *მტკიცებულებების მედიცინა რეოლოგიაში და მიკროცირკულაციაში
- *მულტიდისციპლინური კვლევები რეოლოგიაში
- *ფარმაცევტული რეოლოგია
- *რეოლოგიის ისტორია
- *შემეცნებითი რეოლოგია
- * სისტემების, ორგანოების, ქსოვილების, უჯრედების ფიზიოლოგია და პათოფიზიოლოგია
- *და სხვა

Topics:

- *Experimental hemorheology, hemodynamics and hydraulics
- * Clinical hemorheology (Cardio and cerebrovascular diseases, Endocrinology, Hepatology, Allergy, Gerontology, Shock, Stress, reconstruction Surgery, Gynecology and ect.)
- *Rheology in * Bio and haemorheological methods, technology and equipment
- * Blood and vascular cells in micro- and nanomechanics
- * Blood flow in molecular biology and biochemistry perspective
- * Evidence Medical in Rheology and microcirculation
- * Multidisciplinary studies of Rheology
- * Pharmaceutical Rheology
- * History of Rheology

- * Cognitive Rheology
- * Rheology and coagulation mechanism
- * Systems, organs, tissues, cells physiology and pathophysiology
- * And other

გარდა პლენარული და სექციური მოხსენებებისა იქნება პოსტერული მოხსენებები. კონფერენციის ბოლოს გამოვლინდება ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესი პოსტერი. კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდებათ სერტიფიკატები, დაიდება დასკვნა კონფერენციის მსვლელობაში მოპოვებული ცოდნის მნიშვნელობა ფუნდამენტური და პრაქტიკული ბიომედიცინის სფეროსათვის. გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები პრაქტიკოსი ექიმებისათვის. დადგენილი იქნება II საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ადგილი და თარიღები.

თეზისების მიღება 2015 წლის 15 სექტემბრამდე მისამართზე

Biomedicine.med@gmail.com

ტელ.: +995577480020;+995322371019

Abstract deadline: 15 September 2015. Send abstracts to

Biomedicine.med@gmail.com

+995577480020;+995322371019

კონფერენციის განრიგი

2015 წლის 10 ოქტომბერი, შაბათი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი

9.00 – 10.00

რეგისტრაცია

10.00 – 11.00

კონფერენციის საზეიმო გახსნა. მისალმება

ბ.მ.დ. მანწკავა მ. – კონფერენციის ორგანიზატორი

ე.მ.დ. ღავთაძე – აკაკი წერეთლის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ბ.მ.დ. რ.საკანდელიძე – აკაკი წერეთლის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის

დილის სესია

თავჯდომარეები საგანელიძე რ. (საქართველო), გობეჯიშვილი ლ.(აშშ)

11.00 – 11.40

რეოლოგია და მისი მომიჯნავე მეცნიერებები. ისტორია, თანამედროვეობა, აქტუალობა. პლენარული სხდომა. მომხსენებელი: ბ.მ.დ. მ.მანწკავა

11.40 – 12.20

კოფებრიკი

12.20 – 13.00

მომხსენებელი: რეოლოგიური ცვლილებები ჰიპერტერმის დროს.

აკად. ნ.მითავარია

13.00 – 13.40

ღვიძლის ნორმალური ფუნქციონირება და რეოლოგიური ცვლილებების თავიდან აცილება. მომხსენებელი: ლ.გობეჯიშვილი

13.40 – 14.40

ლანჩი

შუადღის სესია

თავჯდომარეები მანჭკავა მ.(საქართველო), ოგანესიანი რ. (სომხეთი)

14.40 – 15.00

მომხსენებელი:

15.00 – 16.00

პოსტერები

კოფიბრეიკი

2015 წლის 11 ოქტომბერი, კვირა.

დილის სესია

თავმჯდომარე: ანტონოვა ნ. (ბულგარეთი), დავლიანიძე ლ. (საქართველო),
დევდარიანი მ. (საქართველო), როიტმანი ე. (რუსეთი)

10.00 – 11.00

პროფ. გიორგი მჭედლიშვილი: მსოფლიოს მიკროცირკულაციის და რეოლოგიის
ფუძემდებელი

მომხსენებელი:

11.00 – 11.20

მომხსენებელი:

11.20 – 12.00

კოფიბრეიკი

12.00 – 12.20

მომხსენებელი:

12.20 – 12.40

მომხსენებელი:

12.40 – 13.00

მომხსენებელი:

13.00 – 13.20

მომხსენებელი:

13.20 – 13.40

მომხსენებელი:

13.40 – 14.40

ლანჩი

შუადღის სესია

თავმჯდომარეები ნებიერიძე მ. (საქართველო), რუსაზე ხ. (საქართველო),
კაირგელდინა ს. (ყაზახეთი)

14.40 –15.00

მომხსენებელი:

15.00 –15.20

მომხსენებელი:

15.20 –15.40

მომხსენებელი:

15.40 – 16.00

მომხსენებელი:

16.00 – 16.20

მომხსენებელი:

16.20 –16.40

მომხსენებელი:

16.40 – 17.00

მომხსენებელი:

2015 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი

10.00 – 10.20

მომხსენებელი:

10.20 –11.00

მომხსენებელი: მანჭკავა მ.

კონფერენციის შედეგების შეფასება, საინიციატივო ჯგუფის გამოყოფა

შემდეგი კონფერენციის აგლილის და თარიღის დადგენა

საქართველოს რეოლოგთა საზოგადოების აღდგენის დადგენილების საჯარო განხილვაზე გამოტანა (ფუნქციონირებდა 1992 – 2000წ.), მანიფესტის და წესდების შემუშავება.

მომხსენებელი:

11.00 – 11.20

ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო პოსტერის შერჩევა და ავტორის დაჯილდოება

11.20 – 11.50

კონფერენციის დახურვა

11.50 – 12.30

კოფიბრეიკი